ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №74

29.12.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი;
3. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19

ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203598-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორი/

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203595-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 დეკემბრის №12-032035964-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 დეკემბრის №12-032036333-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203598-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა დავით ჩანქსელიანმა.

მომხსენებლის (დ. ჩანქსელიანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულია დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (დანართი N2), რომლითაც განსაზღვრულია ცხრილის სახით მოსაკრებლის გადამხდელები, ზომის ერთეული, ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3 და მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე. აღნიშნულ დანართში (ცხრილში) N21 - არის რესტორნები, პიცერიები, სასადილოები (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა), კაფეები და ბარები, რომელთაც მოსაკრებელი ერიცხებათ ერთ დასაჯდომ ადგილზე, ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3 – 2,4 და მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე - 3ლ.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისთვის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იზოლაციისა და კარანტინის წესების, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 23 მაისს მიღებულ იქნა დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული

წესების მე-6 მუხლის 4[1] პუნქტით ეკონომიკური საქმიანობა ეზღუდება კვების ობიექტებს/რესტორნებს/ბარებს/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი" სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თეიქ ევეი" და „დრაივი").

გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით ადგილზე მომსახურება (ადგილზე კვება) არ მიმდინარეობს, სამუშაო სივრცეებში დასაჯდომი ადგილები მთლიანად უფუნქციოა და „ონლაინ" რეჟიმში სამუშაოდ გამოიყენება მხოლოდ სამზარეულოები, სადაც მზადდება წინასწარ შეკვეთილი პროდუქცია, რომელიც გადის ობიექტიდან.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან და მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კვების ობიექტების მიმართ განხორციელდეს გარკვეული შეღავათები და საკრებულოს დადგენილების დანართი N2-ში N21 - კვების ობიექტებს შეუწყდეთ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა დასაჯდომი ადგილების მიხედვით და დარიცხვა განხორციელდეს N23 - კვების ობიექტების მსგავსად, დასაჯდომი ადგილების გარეშე, სატარიფო განაკვეთით 0.32ლ. სამუშაო ფართის 1მ^2-ზე, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს დადგენილების პროექტის პირველი მუხლით განისაზღვრება, რომ: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრულ რესტორნებს, პიცერიებს, სასადილოებს (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა), კაფეებს და ბარებს მოსაკრებელი დაერიცხოთ საცხობების და საოჯახო სამზარეულოების (დასაჯდომი ადგილების გარეშე) მსგავსად, სამუშაო ფართის 1 მ2-ზე, ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3 – 0,26, მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე - 0,32 ლ., 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში."

დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის მიხედვით: პირებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი გადაიხადეს საშეღავათო ტარიფის ამოქმედებამდე, ზედმეტად გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას), და რომელიც ჩაითვლება 2021 წლის 31 იანვრის შემდგომ დარიცხული მიმდინარე დავალიანების დასაფარად.

დადგენილების მე-3 მუხლი დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელებს აძლევს შესაძლებლობას უარი განაცხადონ შეღავათზე, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203598-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203598-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 24 დეკემბრის №12-03203595-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტით მტკიცდება წესი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მშენებლობის განხორციელებისას ამოვსების ოპერაციებისათვის ან/და მშენებლობის მიზნებისათვის ინერტული ნარჩენების განთავსების პროცედურას. წესის მოქმედება ვრცელდება:

ა) იმ ფიზიკურ პირებზე, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში, არ წარმოიშობა 1 000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი;

ბ) იმ იურიდიულ პირებზე, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში, არ წარმოიშობა 400 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მშენებლობის განხორციელებისას ამოვსების ოპერაციებისათვის ან/და მშენებლობის მიზნებისათვის ინერტული ნარჩენების განთავსებაზე თანხმობის გამცემ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

წესის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისას, ამოღებული ინერტული ნარჩენი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას მშენებლობის მიზნებისათვის, შესაძლებელია დროებით განთავსდეს ამავე ან სხვა მიწის ნაკვეთზე. ამასთან, ინერტული ნარჩენების დროებით განთავსება არ უნდა აღემატებოდეს მშენებლობის ნებართვის ვადას. ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, მშენებლობის განხორციელებისას, ამოღებული ინერტული ნარჩენის დროებით განთავსებაზე თანხმობის მიღების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში უნდა წარადგინოს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, სადაც უნდა მოხდეს ინერტული ნარჩენის დროებით განთავსება, ასევე, ამავე წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

წესის თანახმად, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, მშენებლობის განხორციელებისას, ამოვსების ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიღების მიზნით, უფლებამოსილ სამსახურში უნდა წარადგინოს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, სადაც უნდა განხორციელდეს ამოვსების ოპერაცია. უფლებამოსილ სამსახურში ასევე წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეთანხმებული ამოვსების ოპერაციის პროექტი.

წესი ითვალისწინებს გარდამავალ დებულებას, რომლის თანახმადაც ამ წესის ამოქმედების შემდგომ ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც აქვთ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, 6 თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ ამავე წესით გათვალისწინებული ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის

გამოყენების თანხმობისთვის.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **შეკითხვები დასვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რ. სოხაძემ და ბ-ნმა დ. უთმელიძემ - ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილების გამოყოფის, ასევე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ინერტული ნარჩენის განთავსების ნებართვის მიღების პროცედურების თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა, ბატონმა გ. გიგაშვილმა, რომლის ინფორმაციით, ინერტული ნარჩენების განთავსება ამჟამად შესაძლებელია გლდანში არსებული ნარჩენების პოლიგონზე. წარმოდგენილი წესის მიღების შემთხვევაში, ნებართვის გამცემი ორგანოს ნებართვითა და იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობით, სადაც უნდა განხორციელდეს ამოვსების ოპერაცია ან ინერტული მასალის განთავსება. თუმცა, ინერტული (სამშენებლო) ნარჩენის განთავსება ბუნებრივად წარმოქმნილ ხევებში არ მოხდება.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ინერტული მასალის განთავსების ახალი სტიქიური კერების (ნაგავსაყრელების) წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა შესაბამისი მარეგულირებელი/შემზღუდავი ნორმების დადგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომიის წევრების აზრით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის“ პროექტის განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით, კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის“ პროექტის განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით, კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 დეკემბრის **№12-03203595-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის“ პროექტის განხილვის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 დეკემბრის №12-032035964-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1565.1922 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01203492807-67, №01203432544-67, №01203431599-67, №01203111295-67, №01203491209-67, №01203441971-67, №01203372424-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

1) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01203492807-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ

დიღომში, „ტყემლიაანთ ბაღებში“ მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.031.562, №01.72.14.031.561) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 16 დეკემბრის №0120351996 წერილის შესაბამისად, მოთხოვნილ მონაკვეთზე ცვლილების შემთხვევაში, სატრანსპორტო ზონის დარჩენილი სიგანე საკმარისი იქნება სამომავლოდ შესაბამისი სატრანსპორტო/საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის.

შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

2) განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ა. ბელიაშვილის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.003.199, №01.13.02.003.108 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

საპროექტო არეალი ხასიათდება დაბალი ინტენსივობის გარემო განაშენიანებით. დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საზოგადოებრივ-კომერციული გამოყენების და მის დამხმარე ტიპის ობიექტები. შესაბამისად, მიზანშეწონილია ფუნქციური ზონის განისაზღვროს განაშენიანების არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №18-01203491441 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა, ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

3) განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01203432544-67** განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკის დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.16.003.088) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 21 დეკემბრის №01203561325 წერილის მიხედვით, სამსახურს კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიაჩნია, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელდეს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული ზონები.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილზე (გზის მხარეს) განთავსებულია მარადმწვანე ხეები, ნაწილობრივ ცვლილებას ექვემდებარება №01.19.16.003.088 საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ამასთან, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.16.003.088 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკის დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.16.003.088) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ნაწილის ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის ნაწილობრივ მოხსნა, ხოლო, №01.19.16.003.088 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

4) განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01203431599-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ოხიჩივალას მიმდებარედ აღსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.689) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3).

განაშენიანების ერთიანი კონტურის ფრაგმენტაციის თავიდან აცილებისა და ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, №72.16.15.921

საკადასტრო ერთეულზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიებით რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 14 დეკემბრის №01203491449 და 2020 წლის 21 დეკემბრის №18-01203562557 წერილებით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №72.16.15.689 და №72.16.15.921 საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.689; №72.16.15.921) ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონის (რზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიებით რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) მისაღებია.

5) განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01203111295-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.02.714) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 16 ნოემბრის №18-01203211921 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული [illegible] ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ამასთანავე, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №81.05.02.714 საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და განვითარებულია აღნიშნული ფუნქციით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.02.714) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

6) განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01203491209-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სამთავრობო ცენტრალური ზონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.120.023) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 22 დეკემბრის №0120357509 წერილის მიხედვით, მიზანშეწონილია საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შეესაბამება მოხდეს ფაქტობრივ მდგომარეობასთან და გავრცელდეს არსებულ გზაზე.

გზათა ქსელის მოწესრიგების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით №01.20.01.120.023 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სამთავრობო ცენტრალური ზონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.120.023) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

7) განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01203441971-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მესხიშვილის ქუჩა №49-51 ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.12.13.077.011, №01.12.13.077.014, №01.12.13.077.015 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის №01203511074 წერილის მიხედვით, ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა გავრცელებულია შენობის ნაწილზე და მას ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში №01.12.13.077.011 და

№01.12.13.077.014; №01.12.13.077.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მიმდებარედ მოთხოვნილ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

8) განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01203372424-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.34.003.216, №01.19.34.003.217) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის კონფიგურაციის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 21 დეკემბრის №18-01203561209 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, განხორციელდეს მოთხოვნილი სახით შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის ადგილმონაცვლეობა.

მოცემული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.19.34.003.216, №01.19.34.003.217) მცირე ნაწილზე ძირითადი რუკით გავრცელებული სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) წარმოადგენს ხარვეზს.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01203492807-67, №01203432544-67, №01203431599-67, №01203111295-67, №01203491209-67, №01203441971-67, №01203372424-67 განცხადებებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივასთან (სულ: 8 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 24 დეკემბრის **№12-032035964-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01203492807-67, №01203432544-67, №01203431599-67, №01203111295-67, №01203491209-67, №01203441971-67, №01203372424-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 დეკემბრის **№12-032035964-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 8 წინადადება - №01203492807-67, №01203432544-67, №01203431599-67, №01203111295-67, №01203491209-67, №01203441971-67, №01203372424-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 დეკემბრის №12-032036333-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 28 დეკემბრის №20.1598.1938 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №0120308956-67, №01203563036-67, №01203423355-67, №01203502181-67).

დადგენილების პროექტის განხილვისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა:

1) განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120308956-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.270) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №386 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილებით წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და სატყეო ზონის გავრცელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.01.002.270) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და ამასთანავე, №01.18.01.002.270 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) და სატყეო ზონის გავრცელება მისაღებია.

2) განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01203563036-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.768)

მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილისში. ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.768; №72.16.23.767; №72.16.23.771; №72.16.23.772; №72.16.23.770; №72.16.23.769; №72.16.23.632) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №211 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.23.768) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

3) განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01203423355-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 დეკემბრის №407 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ოქროყანის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

4) განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01203502181-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.005.006) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას ქ. №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.005.006) მრავალფუნქციური შენობის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017

წლის 28 აპრილის №118 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით, ფუნქციური ზონად შეთანხმებულ იქნა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შერეული ზონა, რომელიც ამავე გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიან ზონას. აღნიშნული განმარტება კი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის მიხედვით, შეესაბამება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს (სსზ-1) და ფუნქციური ზონის ცვლილებაც აღნიშნული ზონის ფარგლებში ხორციელდება.

ფუნქციური ზონის ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.13.02.005.006 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 23 დეკემბრის №18-01203572299 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დანართით წარმოდგენილ არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.005.006) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.13.02.005.006 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120308956-67, №01203563036-67, №01203423355-67, №01203502181-67 განცხადებასთან (სულ: 4 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 დეკემბრის **№12-032036333-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0120308956-67, №01203563036-67, №01203423355-67, №01203502181-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 დეკემბრის **№12-032036333-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0120308956-67, №01203563036-67, №01203423355-67, №01203502181-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი